



საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 40
20/11/2015

40-06-4-201511201857



დადგენილება №40
2015 წლის 20 ნოემბერი
ქ. ოზურგეთი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 დეკემბრის №48
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 დეკემბრის №48 დადგენილებაში (ვებგვერდი, 31/12/2014 წ. სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.113.016206) დაჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

გაიზარდოს სულ შემოსავლების და გადასახდელების ნაწილში **118 200 ლარით:**

გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში საკუთარი შემოსავლები **118 200 ლარით;**

კერძოდ:

- ა) შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - **31 800 ლარით;**
- ბ) შემოსავალი ქონების მართვაში გადაცემიდან (რენტა) - **17 500 ლარით;**
- გ) შემოსავალი ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) – **50 000 ლარით;**
- დ) მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - **11900 ლარით;**
- ე) მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის - **7 000 ლარით;**

გაიზარდოს ხარჯები :


- ვ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის ანაზღაურების ხარჯი (ორგანიზაციული კოდი -01 02 -2.1.1.1.) – **69,2 ათ. ლარით;**

- ზ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გარე განათების ხარჯი, ელექტროენერგიის ხარჯის ნაწილში (ორგანიზაციული კოდი -03 08 - 2.2.3.12.1.) – 30,0 ათ. ლარით;
- თ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შეჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა, სოციალური დახმარების ნაწილში (ორგანიზაციული კოდი -06 02 07 – 2.7.2.1.) – 15,0 ათ. ლარით;
- ი) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა შრომის ანაზღაურების ხარჯის ნაწილში (ორგანიზაციული კოდი 02 03 -2.1.1.1.) – 4,0 ათ. ლარით;

სულ გაიზარდოს 118 200 ლარით.

2. დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.
3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია



საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო